

სწავლება ნიშნავს, ისწავლო ორჯერ

ელისო მაწკეპლაძე¹, ასმათი დათიაშვილი²

¹ტყიბულის მუნიციპალიტეტის გელათის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული, სქემაში ჩართული მასწავლებელი

²ტყიბულის მუნიციპალიტეტის გელათის საჯარო სკოლის ინგლისური ენის სერტიფიცირებული, სქემაში ჩართული მასწავლებელი

ანოტაცია:

ბევრი პედაგოგის მიზანია ინოვაციური მეთოდებით სწავლება. "ინოვაციური მასწავლებელი ჰგავს ფეხბურთელს, რომელიც ყოველთვის მზადაა გოლის გასატანად". ინოვაციური მეთოდები ხდის სასწავლო პროცესს მხიარულს, შედეგზე ორიენტირებულს, ეხმარება მოსწავლეებს, შეიძინონ აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევა, რათა მიიღონ უკეთესი ცხოვრება თავისთვის და ქვეყნისათვის.

სწავლების ტრადიციული და ინოვაციური საშუალებები გამოკვლეულია, შეფასებულია და ზოგიერთი მათგანი რეკომენდირებულია. ყველა ინოვაციური მეთოდის დადებითი და უარყოფითი მხარე იდენტიფიცირებული და შერწყმულია ტრადიციულ მეთოდებთან.

მკვლევარები გვიჩვენებენ, რომ თანამედროვე მასწავლებელმა არ უნდა თქვას ინოვაციური მეთოდების გამოყენებაზე უარი. ნებისმიერი, რომელიც წყვეტს სწავლას, მიუხედავად 20 წლისაა თუ 80-ის, მოხუცია. ნებისმიერი, რომელიც აგრძელებს სწავლას, რჩება ახალგაზრდად.

ინოვაციური მეთოდების გამოყენება არამარტო აძლიერებს სწავლების ხარისხს, არამედ აძლევს ადამიანებს ისეთ უნარებს, რომლებიც მათ სრულფასოვან პიროვნებად აქცევს.

ჩვენი მიზანი არის იმ გასაღების პოვნა, რომელიც უშუალოდ შესაშურ შედეგზე გაგვიყვანს. სწორად შერჩეული კურსი, სტრატეგია და მოსწავლეთა შესაძლებლობები - აი, ეს არის ინოვაციური მეთოდები.

საკვანძო სიტყვები: მეთოდი, ინოვაციური, სწავლება

მეცნიერი უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე მებრძოლის სისხლი. ამის მიზეზი ისაა, რომ შეიარაღებული ძალების სამსახურის მსგავსად მასწავლებელს წინა ფრონტზე იბრძვის.

სწავლება პრობლემაა, სწავლა პრობლემაა და ორივე ერთად აქტუალური პრობლემა. უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ჩვენი მოსწავლეები ჩვენი თაობისანი არ არიან, რომ დასხდნენ და მოგისმინონ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველაფერი შეიცვალა, მათ სურთ გამოიკვლიონ, ამოჭრან, ჩასვან, იფიქრონ, დააფიქსირონ...

სწავლება შუქია, რომელიც აჩვენებს კაცობრიობას სწორ მიმართულებას, რათა გაიზარდოს. თუ სწავლება ხელს უშლის თვითგანვითარებას, სხვადასხვა უნარის შექმნას, ეს მოსწავლის ბრალი არაა. ჩვენ უნდა შევიმუშავოთ ინოვაციური მეთოდები, სასწავლო პროცესი უნდა იწვევდეს მოსწავლეების ინტერესს და „აიძულოს“ ისინი მაქსიმალურად ჩაერთონ საგაკვეთილო პროცესში. ეს პროცესი მათთვის უნდა იქცეს ემოციურ და გრძნობებით დატვირთულ პროცესად, რაც მათ ეხმარებათ გაზრდასა და კეთილშობილ ადამიანად ჩამოყალიბებაში.

ინოვაციური მეთოდებით სწავლება ბევრი პედაგოგის მიზანია. „ინოვაციური მასწავლებელი ჰგავს ფეხბურთელს, რომელიც ყოველთვის მზადაა გოლის გასატანად“. ინოვაციური მეთოდები ხდის სასწავლო პროცესს მხიარულს, შედეგზე ორიენტირებულს, ეხმარება მოსწავლეებს, შეიძინონ აუცილებელი უნარები და რესურსები, რათა მიიღონ უკეთესი ცხოვრება თავისთვის და ქვეყნისათვის.

ინოვაციური მეთოდების გამოყენებისას მასწავლებელი მიზნად ისახავს, არამარტო გააძლიეროს სწავლების ხარისხი, არამედ მისცეს ადამიანებს ისეთი უნარები, რომლებიც მათ სრულფასოვან პიროვნებად აქცევს, განავითარებს ქვეყანას.

სწავლების ტრადიციული და ინოვაციური საშუალებები შეფასებულია და ზოგიერთი რეკომენდებულია. ყველა ინოვაციური მეთოდის დადებითი და უარყოფითი მხარეები იდენტიფიცირებულია და შერწყმულია ტრადიციულ მეთოდებთან.

მკვლევარები გვიჩვენებენ, რომ თანამედროვე მასწავლებელმა არ უნდა თქვას ინოვაციური მეთოდების გამოყენებაზე უარი. ნებისმიერი, რომელიც წყვეტს სწავლას, მიუხედავად 20 წლისაა თუ 80-ის, მოხუცია. ნებისმიერი, რომელიც აგრძელებს სწავლას, რჩება ახალგაზრდად. ხოლო ცვლილებებისათვის მზადყოფნა არის პროგრესის, განვითარების ერთადერთი გზა. ქვემოთ წარმოგიდგენთ რამდენიმე ინოვაციური მეთოდს.

სწავლება მულტიმედიის გამოყენებით

„მე მესმის და მე მავიწყდება. მე ვხედავ და მე მჯერა. მე ვაკეთებ და ვგებულობ“
(კონფუცი)

მულტიმედია გახლავთ ტექსტების, გამოსახულებების, აუდიო და ვიდეო მასალების ერთობლიობა, რომელსაც ინტერაქტიურად ვიყენებთ სასწავლო პროცესში აუდიტორიისათვის ინფორმაციის გადასაცემად. მულტიმედიური საშუალებების გამოყენება ცვლის მასალისადმი მიდგომას. ჩვენ გვხვდება უკეთესი შედეგების მიღწევაში, რადგან მასალის ციფრული ფორმით მიწოდებისას მოსწავლეები

სწავლობენ უკეთ, მეტად მოტივირებულნი არიან, მეტ ყურადღებას აქცევენ წარმოჩენილ ინფორმაციას და უკეთ იმახსოვრებენ.

არსებობს ინტერნეტ-სივრცეში ბევრი ჩვენთვის ხელმისაწვდომი ვებ-გვერდი, პროგრამა, რომლის დახმარებითაც ვქმნით ახალ, ციფრულ რესურსებს. საინტერესოა, ჩვენი მოსწავლეების მიერ დამოუკიდებლად შექმნილი რესურსებიც.

ქართული და უცხო ენის ეფექტური სწავლებისათვის ხშირად ვიყენებ მულტიმედიურ ვიდეოებს, დოკუმენტურ ფილმებს ამა თუ იმ მწერლის ან მოვლენის შესახებ. მულტიმედიური რესურსები საშუალებას გვაძლევს, ავამაღლოთ მოსწავლეთა მოტივაცია და აქტიურად ჩავრთოთ ისინი საგაკვეთილო პროცესში, რაც უზრუნველყოფს დასახული მიზნების ადვილად და სახალისოდ მიღწევას.

სწავლება სქემების გამოყენებით

შემდეგი ინოვაციური მეთოდი, რომელსაც ხშირად ვიყენებთ, ტრადიციული მეთოდის გაფართოვებული ვერსიაა: დიაგრამები, სქემები

მოსწავლეები ინიშნავენ საკვანძო სიტყვებს, ფრაზებს, გამოსახულებებს, ხოლო მასწავლებელი მათთვის საჭირო ინფორმაციას დიაგრამების, სქემების სახით აწვდის. დიაგრამები, სქემები ძალიან ძირითადი ინფორმაციის სწრაფ გაგებას, ერთი ნახვით დამახსოვრებას უწყობს ხელს. აგრეთვე ვიზუალურად წარმოაჩენს ფაქტებისა და მოვლენების ერთიანობას, რაც უნებლიე დამახსოვრებასაც იწვევს. სურათები, მუსიკა, ფერი, შეხება, სუნიც კი დიდ როლს თამაშობს სწავლების, დიდხანს დამახსოვრების პროცესში. გასაღები კი უნდა შევქმნათ სწორედ ჩვენვე კრეატიულად, ჩვენი და ჩვენი მოსწავლეების უნარების გათვალისწინებით.

ხშირად ვიყენებთ ვენის დიაგრამას, შედარების მატრიცას, T დიაგრამას პერსონაჟთა დახასიათების, თვისებების მსგავსება/ განსხვავებების დროს. სქემების გამოყენება გვეხმარება:

1. მოსწავლეები გასაგებად აყალიბებენ მიღებულ ინფორმაციას
2. ვიზუალურად წარმოაჩენენ მასალებს
3. უვითარდებათ შემოქმედებითი უნარი

იუმორი ეფექტური საშუალებაა სწავლების პროცესში

ყველას უყვარს იუმორით „დაავადებული“ მასწავლებელი. ძნელია, იყო იუმორის გრძნობით დაჯილდოებული მასწავლებელი, მაგრამ სიცილი მარტივია. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იუმორის გამოყენება სწავლებისას ძალიან ეფექტური ინსტრუმენტია მასწავლებლისათვის და მოსწავლეებისათვის. იუმორი აძლიერებს მათ

შორის ურთიერთობას, ამცირებს განცხვავებულობის ხარისხს, ხდის კურსს უფრო საინტერესოს. მას შეუძლია განტვირთოს ადამიანი, მოუხსნას დაძაბულობა და შეიქმნას ისეთი ატმოსფერო, როგორშიც სასურველია სწავლება და კომუნიკაცია. იოლია კლასში წაიკითხო იუმორისტული თავგადასავლები და იგრძნობ, რომ მოსწავლეები გამოცოცხლდნენ.

პირადი და ნაცნობი ადამიანების ცხოვრებიდან ხშირად მოგვყავს სახუმარო ფაქტები, ასევე ვეცნობით ცნობილი ადამიანების კურიოზებს. ეს მეთოდი გვეხმარება მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრირებასა და მათს გააქტიურებაში. ამგვარი განტვირთვის შემდეგ სწავლა-სწავლების პროცესი უფრო სახალისოდ და ეფექტურად მიმდინარეობს.

სიტყვა სიტყვით სიტყვისკენ

ამ დროს მოსწავლეები, როგორც წესი, არ ასახელებს ძირითად სიტყვას. დაახლოებით სხვა სიტყვებითა და ფრაზებით ხსნი მას. მაგალითად, ენის შესწავლის დროს უცხო სიტყვების დამახსოვრების ეფექტური საშუალებაა.

ამ მეთოდის გამოყენებით მოსწავლეები მიეჩვევიან ლექსიკონების ფართოდ გამოყენებას, დაიმახსოვრებენ სიტყვებს პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, გაიმდიდრებენ ამ სიტყვებთან დაკავშირებულ ცოდნას,

ლექსიკური მარაგის გამდიდრებისა და განმტკიცების მიზნით ხშირად მივმართავ ასეთ აქტივობას: დაფის ერთ მხარეს ვწერთ სიტყვებს და მეორე მხარეს - მათ განსაზღვრებებს ინგლისურ ენაზე. მოსწავლეები თოთოეულ სიტყვას უკავშირებენ შესაბამის განსაზღვრებას. მოსწავლეები სიამოვნებით ასრულებენ მოცემულ დავალებას, სიტყვებსაც იმახსოვრებენ.

როლური თამაშები („სხვის ტყავში“)

როლური თამაში (პრაქტიკული ქმედება) და სცენარის ანალიზი გამოიყენება პრობლემის უკეთ წარმოჩენისას. მაგალითად, პერსონაჟის გასაჭირს უფრო კარგად გაითავისებს მოსწავლე, როცა ცოტა ხნით მის როლში აღმოჩნდება.

ჩვენ ხშირად ვიყენებთ როლურ თამაშებს. მოსწავლეები უმეტესად თვითონ ირჩევენ და ირგებენ როლებს, უკეთ იმახსოვრებენ ნაწარმოების სიუჟეტებს, პერსონაჟებს... მოსწავლეთა მოტივაცია მაღალია და პროცესიც სახალისოა.